ახალი

განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც
საქმეობლოსათვის უძგერს გული„

2020 წელი 28 თებერვალი № 2 № 8155

89-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

„ჯვარცხინარი„
საქართველოს
ცხენოსანთა
ლიგის თაობაზე
გვ3.

89-ე წელთან ჩვენი გზაცთა იწერენ, ვეკრთოვებენ, ინახავენ რეალობის ასეულობასა, ხანდ ეს ეს ყვითელ ჭრილებს, ქმნან ჩვენი ცხოვრების შეფოთვა-ზებელ მეცნიერებ ...
გახლათ ჩვენი მეთხვეული!

 შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონში
გვ2.

ცხემობლო, რომელიც ერთიანერთია ...
გვ3.

სოფელ ხოვლეში საჯარო სკოლის მეორე ფლიგელის მშენებლობა მიმდინარეობს
გვ2.

საქართველოს ჩემპიონატი — კასპში!
გვ8.

უკეთესის მოლოდინში
გვ8.

სამი ოქრო, სამი ვერცხლი, ორიც ბრინჯაო...
გვ8.

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში
გვ4.

სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია
გვ3.

ქრისტიანული არქიტექტურა კასპის მუნიციპალიტეტში
გვ7.

“ჩვენ, კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება”.
გვ4.

ამაგდარი, მეგობარი, ერთგული, საუკეთესო ...
გვ4.

ბოლო ჰირველი შეხვედრა ოთმარაყნის ჯამზაფორობელიანთა ცხცხლოვანებით
გვ3-4-9.

ჩვენი დროის პარადოქსი
გვ5.

ცხოვრებისა ამბავი
გვ4.

ცოლიპრობებ ამბავი
გვ9.

ეროვნული ოლიმპიადა
გვ7.

შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრები იმართება. შიდა ქართლის რეგიონის თვითმმართველობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა გორში ჩატარდა.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ხოჯევანიშვილმა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ილია თამარაშვილმა მიმართეს.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო არაერთ პროგრამას ახორციელებს, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის მხარდაჭერას. პროგრამებისა და პროექტების შესახებ ფერმერთა ინფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ჩართულობა - განაცხადა ილია თამარაშვილმა.

,,ფერმერებისა და ზოგადად, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და განვითარება შიდა ქართლის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამების სარგებლიანობის კუთხით შიდა ქართლი ერთ-ერთი ლიდერი რეგიონია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მცირე ბიზნესისა და წარმოების განვითარებას. მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია თითოეული დაინტერესებული პირისთვის, რათა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია და სწორად დაგეგმონ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამომავლო საქმიანობა'' - აღნიშნა შიდა ქართლის რწმუნებულმა.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ შიდა ქართლის რეგიონში სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამა ხორციელდება. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შიდა ქართლის რეგიონში 31 ახალი საწარმო ამოქმედდა.

შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს.

ტექსელის აჯანყების მონაწილე გრიგოლ ბაინდურაშვილი 100 წლისაა

დიდი სამამულო ომის ვეტერანს, კასპელ გრიგოლ (გრიშა) ბაინდურაშვილს 100 წელი შეუსრულდა. იგი ჰოლანდიაში კუნძულ ტექსელზე, გერმანელთა წინააღმდეგ ქართველთა ბატალიონის აჯანყების მონაწილეა.

ომმა გრიგოლ ბაინდურაშვილს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ლიტვაში, ქალაქ პლუმბერდში - პოლონეთის საზღვარზე მოუსწრო.

გრიგოლ ბაინდურაშვილს საიუბილეო თარიღის მისალოცად ბინაზე ეწვივნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პრეზიდენტისგან გამოგზავნილი საჩუქარი გადასცეს.

ტექსელის აჯანყების მონაწილეს იუბილე ასევე მიულოცა და საჩუქრები გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის კასპის სამსახურმა და ომის ვეტერანმა, სოფელ მეტეხის მკვიდრმა 95 წლის ოთარ აზმაიფარაშვილმა.

ვეტერანებმა გაიხსენეს ბრძოლის ეპიზოდები და გარდაცვლილი თანამებრძოლები.

1943 წლის ივნისში პოლონეთში ტყვედ ჩავარდნილი ქართველებისგან 822-ე ქართული ბატალიონი ჩამოყალიბდა. 1945 წლის თებერვალში გერმანელმა სარდლობამ ბატალიონი ტექსელზე განათავსა, რომელშიც 800-მდე ქართველი და 400-მდე გერმანელი იყო. მათ იქ ორი უმძიმესი წელი იცხოვრეს. აპრილში ბატალიონი აჯანყდა, რომელსაც ქართველი მფრინავი შალვა ლოლაძე ხელმძღვანელობდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს გრიგოლ ბაინდურაშვილს 100 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

ტექსელის აჯანყების მონაწილეს, იუბილარ გრიგოლ ბაინდურაშვილს 100 წლის იუბილეს ულოცავს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო, უსურვებს მხნეობას და დღეგრძელობას!

მრავალჟამიერ!

სოფელ ხოვლეში საჯარო სკოლის მეორე ფლიგელის მშენებლობა მიმდინარეობს

სოფელ ხოვლეში გრძელდება საჯარო სკოლის მეორე ფლიგელის მშენებლობა.

სამშენებლო სამუშაოებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ქართული სამშენებლო ჯგუფი" ახორციელებს.

შენობა, რომელიც 200 მოსწავლეზეა გათვლილი თანამედროვე სტანდარტებით შენდება.

სკოლას ექნება 12 საკლასო ოთახი, კლასკაბინეტები, დახურული სპორტული დარბაზი და ღია მინი სპორტული მოედანი.

მშენებლობაზე 3 030 000 ლარი იხარჯება.

ხოვლის საჯარო სკოლაში საკლასო ოთახების უკმარისობის გამო სწავლება ორცვლიანია, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი მოსწავლეები ერთ ცვლაში ისწავლიან - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ხოვლის ადმინისტრაციულ ერთეულში თამაზ ხუციშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტში ახალი სკოლების მშენებლობა სოფელ კოდისწყაროსა და წინარეხშიც მიმდინარეობს. ახალი საჯარო სკოლის აშენება დაგეგმილია სოფელ ქვემო გომშიც.

საგზაო ინფრასტრუქტურა

კასპის მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე წელსაც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მუნიციპალიტეტში ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ჩანგილარის მისასვლელი გზის მოწყობა/მოასფალტების სამუშაოები, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო 7" აწარმოებს.

მშენებელმა წინა მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, გზის მოასფალტება დაიწყო. მოეწყობა ეზოში შესასვლელები, გზის მიერთებები, დაიხაზება და დაიდგმება საგზაო ნიშნები. სამუშაოების ღირებულება 687 897 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა 2 წელია. სოფელ ჩანგილარის საავტომობილო გზა ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

გზის მონაკვეთს ათეული წელი არ ჩატარებია რეაბილიტაცია, ამიტომ გადაადგილება უჭირდა როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს. კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებს სოფლის 700 მოსახლე.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ვინ დაიბადა 2019 წელს კასპში?

გაბრიელ შაბიაშვილი, ოკამი;

ნიკოლოზ შიუკაშვილი, კასპი;

ელისაბედ ალავიძე, დოესი;

ნიკოლოზ ქამხაძე, ზემო ხანდაკი;

ნინი მამაცაშვილი, ახალქალაქი;

ნია ჯანანაშვილი, დოესი;

დაჩი კობახიძე, თბილისი;

ლილე შალუტაშვილი, კასპი;

მახმად ოღლი ალი, ფერმა;

გაბრიელ ბეგლარაშვილი, დოესი;

ნატალი კონიაშვილი, ქვემო ჭალა;

ლუკა მამასახლისოვი, ახალქალაქი;

მარიამ ბიგანაშვილი, ოკამი;

ნია დიასამიძე, კასპი, გომი ჯვარი;

ვლადიმერ გიზოევი, კასპი;

ნინიკო სუსუნიაშვილი, ქვემო გომი;

ბარბარე ჩიტიშვილი, სადგური მეტეხი;

ლაშა ძიძიშვილი, კასპი;

სალომე შარიფაშვილი, კასპი;

აბაზგული ოღლი ამინა, ხიდისყური;

საბა ფეიქრიშვილი, ზემო ხანდაკი;

ბარბარე აფციაური, ქვემო ხანდაკი;

გერმოზანაშვილი იოანე, მეტეხი;

საფაროვი ორუჯალი, ფერმა;

ისაევ მარიამი, მიქელწყარო;

მარიამ აფციაური, სადგური მეტეხი;

გიორგი ხუტაშვილი, თელადგორი;

ანა წიკლაური, კასპი;

ივანე დათუაშვილი, კავთისხევი;

სოსო გოზალიშვილი, თელიანი;

ალექსანდრე გოგიშვილი, მრგვალი ჭალა;

გიორგი სუსუნიაშვილი, ნიაბი;

ქრისტინე გალუსტაშვილი, ხოვლე;

ვაკო მამასახლისი, ახალქალაქი,

გიორგი თაბუაშვილი, კასპი;

მარიამ კორხელი, იგოეთი;

გაგრძელება გვ-4.

,,ჯავახიანი,, საქართველოს საზღვრების ფასდაკლების თვალსაზრისით

2020 წლის 12 თებერვალს ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა ალმანახ ,,ჯავახიანის" პრეზენტაცია.

ღონისძიება გახსნა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. მან ისაუბრა პრეზენტაციის ჩატარების მნიშვნელობაზე სახლ-მუზეუმში. კერძოდ ამ შეხვედრით პირველად ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სივრცემ უმასპინძლა პრეზენტაციას. ამდენად, სასურველი და საინტერესო წარდგინებების სიახლეს დაედო საფუძველი.

პრეზენტაციაზე მოწვეული იყვნენ სტუმრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. პროფესორები, ისტორიკოსები: მალხაზ მაცაბერიძე, ავთანდილ უჯმაჯურიძე, თეიმურაზ გვიმრაძე, ოთარ ჯანელიძე.

შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ ტატანაშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. ამავე სამსახურის სპეციალისტები; გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ სოფელ ხოვლის საკრებულოს დეპუტატი გიორგი მჭედლიშვილი, სოფლის გამგებელი თამაზ ხუციშვილი. საბავშვო ბაღის მენეჯერი ლალი თაბუაშვილი.

პრეზენტაცია წარადგინეს ,, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის" ხელმძღვანელმა ისტორიის დოქტორმა, დავით სართანიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიისა და კარტოგრაფიის კათედრის გამგემ, პროფესორმა დალი ნიკოლაიშვილმა.

ალმანახ "ჯავახიანის" მეორე გამოცემა ეძღვნება საქართველოს ისტორიული საზღვრების საკითხს. ამ მრავლისმომცველ საკითხზე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოების ფართო ნაწილისათვის.

საზოგადოებაში ხშირად მოისმენთ, რომ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ უნდა დავადასტუროთ საქართველოს საზღვრები, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ასე რომ, ორგზის მნიშვნელოვანია მეცნიერთა გარჯა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

,,მამულო სიცოცხლეო,,

"სამშობლოს სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობაზე მაღლა დგას, სიკვდილი ან გამარჯვება, აი, დევიზი ქართველი ერისა"...

მარო მაყაშვილი.

1921 წლის თებერვალი სისხლიანი ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი ერის ისტორიაში, როცა რუსეთის მე-11 არმია შემოიჭრა საქართველოში და საფრთხე შეუქმნა მის ეროვნულ დამოუკიდებლობას. მთელი ქვეყანა გაერთიანდა, ერი და ბერი დაირაზმა, ქართულ ჯართან ერთად მოხალისეებიც გაემართნენ ფრონტის წინა ხაზზე. უთანასწორო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული სამხედრო სკოლის მოსწავლეებიც, მათ გვერდით იყო სათნოების და – მარო მაყაშვილი, ის გახლდათ ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაყაშვილისა და მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ასულის თამარის ქალიშვილი...

ტაბახმელას მისადგომებთან გამართულ უსასტიკეს და სისხლიან ორთაბრძოლაში მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა 19 წლის მარო მაყაშვილი, რომელიც 23 თებერვალს



სამხედრო ტაძრის /იმჟამინდელი მთავრობის სახლი/ ეზოში დიდი პატივით დაკრძალეს. დახოცილ იუნკრებთან ერთად მარო მაყაშვილის გარდა პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას 13 ყმაწვილი, რომელთა შორის არიან: არჯევან ანანიაშვილი, ალექსანდრე ახვლედიანი, ირაკლი თოიძე, პავლე იაკობაშვილი, ნიკოლოზ სტურუა, ნიკო ზანდუკელი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ კალანდარიშვილი, დავით აბაშიძე, თოიძე და კიდევ ორი უსახელგვაროდ დარჩენილი მებრძოლი.

მართალია, მათი საფლავები დღეს აღარ არსებობს, მაგრამ ტაბახმელასთან მათ სახელზე აღმართული ობელისკი სიმბოლოა დამოუკიდებელი საქართველოს გმირული წარსულისა. აი, სწორედ ამ თემების განხილვას მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. შეხვედრის ორგანიზატორი და ინიციატორი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი... დარბაზში საქართველოს უძველესი სამფეროვანი დროშის ფონზე გაჟღერდა

,,ვამშობლოთ, რომელიც ერთადერთია ...

დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნი, /"დიდება", ავტორი კ. ფოცხიშვილი /, რომელსაც დამსწრე საზოგადოება აპლოდისმენტებით შეხვდა. ამავე დროს ნაჩვენები იყო დოკუმენტური მასალის ვიდეორგოლი, სადაც ასახულია საქართველოში 1921 წლის თებერვალში რუსეთის მე-11 არმიის შემოჭრისა და მარო მაყაშვილის დაღუპვის ამსახველი დოკუმენტური კადრები.

... ლეგენდარული მარო მაყაშვილისა და მისი თანამებრძოლების ბიოგრაფია, ამონარიდები მათი ცხოვრებიდან შთამბეჭდავად მოუთხრეს დამსწრე საზოგადოებას მოსწავლეებმა: მაია თაბუაშვილმა, ქეთევან ჭალისურმა, ნანა ილურიძემ, უჩა გოგოლაძემ, ნინო ბერუაშვილმა, საბა წინამძღვრიშვილმა, თეკლა ონიკაშვილმა, მიხეილ სამხარაძემ, მარიამ მერებაშვილმა, ბექა რომაშკომ, მარიამ თიგიშვილმა. დამსწრე საზოგადოებაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მაია თაბუაშვილის მიერ წაკითხულმა ლექსმა /ავტორი კოლაუ ნადირაძე / "25 თებერვალი, 1921 წელი", არაჩვეულებრივად გამოვიდნენ უჩა გოგოლაძე და მიხეილ სამხარაძე, რომლებმაც ხატოვნად წაიკითხეს გმირებისადმი მიძღვნილი ლექსები.

ღონისძიებასთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს: კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების კურატორ-სპეციალისტმა იზაბელა კობიაშვილმა, პედაგოგმა მანანა ყაბანაშვილმა. მოსწავლეთა სახლის მენეჯერმა ლელა პეტრიაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს გიორგი ჩადუნელს, მუზეუმის თანამშრომლებს ხატია ხორგუაშვილსა და გვანცა კელაპტრიშვილს გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის, აგრეთვე, მოსწავლეთა სახლის ხატვის წრის ხელმძღვანელს მაკა თათრიშვილს, რომელმაც მხატვრულად გააფორმა ღონისძიება.

დასასრულ, შესრულდა საქართველოს ჰიმნი.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთში, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

სახლ-მუზეუმს, რომლის სახურავს პირვანდელი სახე დაუბრუნდა უკვე შეცვლილია. ამჟამად მიმდინარეობს ხის კარ-ფანჯრების და აივნის მოაჯირის გალაქვა. სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "დანი ქონსთრაქშენი" ასრულებს.

ქართველი გენერლის მშობლიურ სოფელში მდებარე სახლ-მუზეუმის შენობას აღდგენითი სამუშაოები 2006 წელს ჩაუტარდა. მას ბევრი დამთვალიერებელი სტუმრობს, სადაც მის პირად ნივთებს და საბრძოლო ეპიზოდებს ეცნობიან.

გიორგი მაზნიაშვილი საქართველოს პატრიოტი და უერთგულესი მებრძოლი იყო. დაუმარცხებელი გენერლის სიტყვებია: "მე არც მენშევიკების გენერალი ვარ, არც ბოლშევიკების, მე საქართველოს გენერალი ვარ!"

სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში სამუსიკო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "აგრომშენსერვისი" ახორციელებს.

შენობაში შეიცვლება სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის გაყვანილობები, მოეწყობა სველი წერტილები, სახურავი, კარ-ფანჯრები, ჭერი, იატაკი, კიბეები, ცენტრალური გათბობა.

შენობის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება შშმ პირთათვის (პანდუსი, სველი წერტილები).

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 555 291 ლარია და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, შესრულებული სამუშაოების გარანტია კი 3 წელი.

კასპში სამუსიკო სკოლა 1961 წელს გაიხსნა, შენობას ათეული წლებია კაპიტალური შეკეთების სამუშაოები არ ჩატარებია. სკოლაში დღეს 335 მოსწავლე სწავლობს მუსიკას, ხელოვნებას და ხატვას, რომელსაც 18 პედაგოგი ემსახურება.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ბიბლიოთეკების გაერთიანებაში

ამაგდარი, მეგობარი, ერთგული, საუკეთესო ...

კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საღამო შეხვედრა - "ჩვენ, კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება". საღამო მოიცავდა გაერთიანების 2019 წლის ანგარიშს და გამორჩეულთა დაჯილდოებას.

2019 წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა; მთავარი ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ ისაუბრა მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა ხათუნა ბახუაშვილმა; საქალაქო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ ისაუბრა საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერმა მაია აბუაშვილმა; სიტყვით გამოვიდნენ: ლია სოზიაშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტი; ნანა მერებაშვილი, გაზეთ "ახალი განთიადი"-ს რედაქტორი; ლია მენაბდიშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტი; დიანა ხორბალაძე, მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტი; ლია ჩუბინიძე, მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტი; რუსუდან აბუაშვილი, საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტი; ზამინეტ ბარნოვი, საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტი; ეკა კუსრაშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტი; თათია ლომინაძე, მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტი; ნინო იაშვილი, კასპის საერო სკოლა - გიმნაზიის პედაგოგი; ამირან ტალახაძე, სპორტული კომპლექსის სპეციალისტი; ლაშა ზუბიაშვილი, საქართველოს პარლამენტის კასპის ბიუროს წარმომადგენელი; გიორგი თაბუაშვილი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოცმეთაური; ლევან თაბუაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი; მერი გზირიშვილი, საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტი; ზამინეტ ბარნოვი, საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტი; ინგა ქენქაძე, კასპის მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგი. საღამო მიჰყავდა გაერთიანების სპეციალისტს ლია მენაბდიშვილს.

გაიმართა დაჯილდოება: ეთერ ჩადუნელმა წოდება "ამაგდარი"-ს სიგელები (40 წელი წიგნისა და წიგნიერების სადარაჯოზე) გადასცა საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტებს: მერი გზირიშვილსა და ზამინეტ ბარნოვს; მაია შაველაშვილმა ბიბლიოთეკის მეგობრის ტიტულის სიგელი გადასცა ამირან ტალახაძეს; თათია ლომინაძემ ანალოგიური სიგელები გადასცა გიორგი თაბუაშვილსა და ლევან თაბუაშვილს; მაია აბუაშვილმა კი ნინო იაშვილს, ინგა ქენქაძეს და ლალი მილაძეს; ლია მენაბდიშვილმა ბიბლიოთეკის მეგობრის ტიტულოვანი სიგელი გადასცა მიხეილ ქოსაშვილს; ხოლო ბიბლიოთეკის ფოტომემატიანის სიგელი გადასცა ლაშა ზუბიაშვილს;

ბიბლიოთეკის წლის საუკეთესო მკითხველის ტიტულოვანი სიგელით საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა ია ბიძინაშვილმა, რუსუდან აბუაშვილმა, მაია ხარატიშვილმა, მაია ქესაურმა დააჯილდოვეს მოსწავლეები: ქეთი მაზმიშვილი, ლიზი წიკლაური, ქეთი ჯინიყაშვილი, მარიამ კობახიძე.

შეხვედრაზე ისაუბრეს საბიბლიოთეკო ქსელის მომავალზე.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ვინ დაიბადა 2019 წელს კასპში?

გაგრძელება.

ბაირამოვი ალია, ფერმა;

ლიზა მარღიშვილი, ყარაფილა;

ლაშა კაციაშვილი, კასპი;

ნიკოლოზ მოდრეკილაძე, კასპი;

ბარბარე გზირიშვილი, მეტეხი;

ალექსანდრე გორჯოლაძე, ქვემო ჭალა;

სარა ტურაშვილი, დოესი;

სალომე გოჩიტაშვილი, კასპი;

ანდრია ჯანანაშვილი, ხოვლე;

საბა ონიაშვილი, ლამისყანა;

ბაირამოვი ჰუსეინ, მიქელწყარო;

ზაზა მელაძე, იგოეთი;

სარიტა ხუბაშვილი, ქვემო ჭალა;

გაიოზ კიზი ჯემალ, ფერმა,

ლიზა კაციაშვილი, თვალადი;

თოფიკ ოღლი ალიჯან, ფერმა;

ნანა ქავთარაძე, ჩაჩუბეთი;

ჯაფაროვი ილიას, მიქელწყარო;

ელენე სუხაშვილი, კასპი,

დემეტრე ელოშვილი, კასპი;

მარდალი ოღლი, ორხან, ფაშიანი;

მაია ღარიბაშვილი, მეტეხი;

გიორგი ბერიანიძე, კასპი;

ჯემალ აბაზოვი, ფერმა;

მათე ბოლქვაძე, სად.მეტეხი;

ელენე ოდიკაძე, კასპი;

ლაზარე ბაღდუაშვილი, ხოვლე;

მანანა ბატკუაშვილი, თემმისხევი;

ცოტნე ზერეკიძე, კასპი;

ნუცა გოგიაშვილი, კასპი;

ლუკა ბერიანიძე, მეტეხი;

გიორგი ვანიაშვილი, კასპი;

ფირიევი ალი, ფერმა;

ნასიბოვი ვალიხან, ჩანგილარი;

ანასტასია ჭარხალაშვილი, კასპი;

თამილა ლალიაშვილი, სამთავისი;

დასასრული გვ-9.

წარსულის რევოლიუციაში

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘ

როდესაც ჯორჯ კარლინს მეულლე გარდაეცვალა, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების სატირიკოსმა და მჭევრმეტყველმა სტატია გამოაქვეყნა, ვფიქრობთ მისი ნააზრევი დღესაც უჩვეულოდ აქტუალურია:

ჩვენი დროის პარადოქსს წარმოადგენს ის, რომ მაღალი მშენებლობები და დაბალი შემწყნარებლობა, ფართო მაგისტრალები და ვიწრო აზრები გაგვაჩნია.

ვხარჯავთ მეტს და ნაკლები გვაქვს. ვყიდულობთ მეტს, თუმცა ნაკლებად ვხარობთ. დიდი სახლები და პატარა ოჯახები, უკეთესი პირობები და ნაკლები დრო გაგვაჩნია.

უკეთეს განათლებას ვიღებთ, თუმცა ნაკლებ ჭკვიანები ვართ. კარგ ცოდნას ვიღებთ, უარესად ვაფასებთ სიტუაციას, მეტი ექსპერტები გვყავს, მაგრამ პრობლემებიც მეტია,

საუკეთესო მედიცინაა, თუმცა უარესი ჯანმრთელობა გვაქვს.

ვსვამთ მეტისმეტად ბევრს, ვეწევით მეტისმეტად ბევრს, ვხარჯავთ მეტისმეტად უპასუხისმგებლოდ.

ვიცინით მეტისმეტად ცოტას. დავდივართ მეტისმეტად სწრაფად, ვბრაზდებით მეტისმეტად იოლად, ვიძინებთ მეტისმეტად გვიან. ვიღვიძებთ მეტისმეტად დაღლილები...

ვკითხულობთ მეტისმეტად ცოტას, მეტისმეტად დიდ დროს ვუთმობთ ტელევიზიას და მეტისმეტად იშვიათად ვლოცულობთ.

გაგვეზარდა მოთხოვნილებები და შეგვიმცირდა ფასეულობები.

ვლაპარაკობთ მეტისმეტად ბევრს, გვიყვარს მეტისმეტად იშვიათად და გვძულს მეტისმეტად ხშირად.

ვიცით, როგორ გავიტანოთ თავი, მაგრამ არ ვიცით, როგორ ვიცხოვროთ.

ადამიანის სიცოცხლეს ვუმატებთ წლებს, მაგრამ წლებს ვერ ვანიჭებთ სიცოცხლეს.

მთვარეს მივაღწიეთ და უკან დავბრუნდით, მაგრამ გაჭირვებით გადავდივართ ქუჩაზე და ახალი მეზობლის გაცნობა გვიძნელდება.

ვიპყრობთ კოსმოსის სივრცეებს, მაგრამ არა სულიერს.

ვზრუნავთ ჰაერის გაწმენდაზე, მაგრამ ვიბინძურებთ სულს.

დავიმორჩილეთ ატომი, საკუთარი ცრურწმენები კი ვერა.

ვწერთ მეტს, თუმცა ვიგებთ ნაკლებს, ვგეგმავთ მეტს, ვაღწევთ ნაკლებს.

ვისწავლეთ აჩქარება, ლოდინი — ვერა, ვქმნით ახალ-ახალ კომპიუტერებს, ერთმანეთთან ნაკლებად ვურთიერთობთ. ეს სწრაფი კვების და ცუდი მონელების დიდი ადამიანებისა და სულმდაბლობის, სწრაფი შემოსავლებისა და რთული ურთიერთობების დროა.

ოჯახური შემოსავლების ზრდისა და მზარდი განქორწინებების, ლამაზი სახლებისა და დანგრეული ოჯახების, ხანმოკლე მანძილების, ერთჯერადი საფენების, ერთჯერადი მორალის, ერთი ღამის ურთიერთობის, ჭარბი წონისა და აღმგზნები, დამაშვიდებელი მომაკვდინებელი აბების დროა...

ეს გაძეძგილი და ვიტამინების ცარიელი საწყობის დროა.

როცა ტექნოლოგიები თქვენთან მოხვედრის საშუალებას აძლევს ამ წერილს, თქვენ კი მისი გაცნობის, ანდა უბრალოდ "დელეტზე" თითის დაჭერის არჩევანი გრჩებათ.

დაიმახსოვრეთ, მეტი დრო დაუთმეთ მათ, ვინც გიყვართ, რადგან ისინი სამუდამოდ ვერ დარჩებიან თქვენთან.

დაიმახსოვრეთ, კეთილი სიტყვები უთხარით მათ, ვინც ქვემოდან აღფრთოვანებით შემოგყურებთ, რადგანაც ეს პატარა არსება მალე გაიზრდება და თქვენ გვერდით აღარ იქნება.

გულში ღრმად ჩაიკარით საყვარელი ადამიანი, რადგანაც ეს ერთადერთი განძია, რის გაღებაც შეგიძლიათ და ის ერთი კაპიკიც არ გიჯდებათ.

დაიმახსოვრეთ და ხშირად უთხარით "მე შენ მიყვარხარ" ახლობლებს, ოღონდ მანამდე ნამდვილად შეიგრძენით ეს სიყვარული.

სიყვარულსა და მოალერსებას, თუ ის გულიდან მოდის, ნებისმიერი უსიამოვნების აღმოფხვრა შეუძლია...

დაიმახსოვრეთ, ხელი ხელს ჩაჰკიდეთ და დააფასეთ ის მომენტები, როდესაც ერთ დღეს, ეს ადამიანი თქვენ გვერდით აღარ იქნება. დააფასეთ ის მომენტი, როდესაც ერთად ხართ.

გამოძებნეთ სიყვარულის, ურთიერთობის და გულში ღრმად დაფარულის გამჟღავნების დრო...

რადგანაც სიცოცხლე არა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით, არამედ იმ მომენტებით იზომება, როდესაც აღფრთოვანებისგან სუნთქვა გეკვრით!

ჯორჯ კარლინი.

გენეალოგიის სიურპრიზები

ცამეტი წელი ელოდა მზის სინათლეს, ანუ გამოქვეყნებას, ჩემი, 2005 წელს თარგმნილი მასალა ყირიმელთა რძალ "ერისტოვნაზე"... ე. ი. ელენე ერისთავ-პოპოვას შესახებ. უკრაინულ წიგნში ლამისყანა რომ ამოვიკითხე, გამეხარდა...

თორნიკე-ალექსანდრე ერისთავს (1779-1860) უმცროსი ასული ნინო (1814-1887) ერთადერთ მემკვიდრედ რომ უკრაინელი სიძის სიმდიდრის გამო დაესახელებინა, ნუთუ ამ ვერსიას არსებობის უფლება არ ჰქონდა?. სიმართლეს გაუმარჯოს! თუკი ქ-ნ ელენეს პ. პოპოვზე გათხოვებამდე ფულადი თანხით მიუღია მამის მამულები მზითვად, ცხადია, დარჩენილი მამულების მემკვიდრე ნინო გახდებოდა!.. რაც არგუმენტებით დაამტკიცა ქალბატონმა სოფიო ცუცუნაშვილ-ფავლენიშვილმა ("ახალი განთიადი" №6, 2019 წ. "პასუხად სტატიისა "ვინ იყო ყირიმელთა რძალი "ერისტოვნა?") — გამოხმაურებაში...

ფაქტებით ადვილი სამტკიცებელია, ვინ უფრო ადრე გარდაიცვალა — საქართველოს ყირიმელი სიძე გენერალ-მაიორი პავლე პოპოვი, თუ მისი ლამისყანელი მეუღლე ელენე ერისთავი. ლეგენდები ცარიელ ადგილას არ ჩნდება. ხომ შეიძლება, ლეგენდებიც შეიცავდეს ჭეშმარიტების მარცვალს? და თუკი ლეგენდაში პავლე პოპოვი გადმოვარდა აივნიდან მეჯლისის დროს, ხოლო უკრაინელთა მეხსიერებაში ეს ფაქტი გაფერმკრთალდა, ან თუ ელენემ ჩაანაცვლა (გამორიცხული არც ისაა, ელენეს ხანგრძლივი ავადმყოფობაც გადმოვარდნას უკავშირდებოდეს), რა ვქნათ, დავსაჯოთ "გულმავიწყი" მთხრობელი? (თუ დროჟამი?). არც უკრაინელ მემატიანე ქალბატონს დავემდუროთ, თავის წიგნში ეს ვერსიაც რომ შეეტანა და არც მე უნდა ჩამისაფრდეს არავინ; მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვი და არა მტკიცებითი ფორმა! საკამათოც არაფერია და ისიც ხომ ბრძნული ნათქვამია — ჭეშმარიტება კამათში იბადებაო. კითხვის ნიშნის ქვეშ რატომ აღმოჩნდა ტოპონიმ "შიროკოეს" საკითხი? ს. "შიროკოეს" ძველი სახელი "ერისტოვკაც" (ერისთავები, საერისთავო) ყოფილა, რაც დასტურდება მე-18-19 საუკუნეთა ოფიციალურ დოკუმენტებში (ლ. როსსოხა). უკრაინაში არსებობს რუკები, რომელზედაც დიდი სიზუსტითაა დატანილი ქართული ტოპონიმები. ქ-ნი ლ. როსსოხა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში აქვეყნებდა სტატიებს ამ თემაზე საქართველოს რუსულენოვან ჟურნალში "ლიტერატურნაია გრუზია". დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ოპონენტი ამ რუკებს არ მომთხოვს! დროში გაიწელება, თორემ შეუძლებელი არაა! ის ფაქტი კი მტკიცებას ნაღდად აღარც საჭიროებს, რომ ყირიმელ პოპოვებს მხოლოდ ერთი რძალი ჰყავდათ ერისთავის გვარით ("ერისტოვნა" ხომ შეცვლილ-დამახინჯებული ფორმაა "ერისტავოვნა"-სი? ორივე ეს ტერმინი ხომ ერისთავის ასულს ნიშნავს?! აქ აღარც არაფერია საკამათო და ვერც სხვა მკვლევარი აღმოაჩენს ახალს — წარსულს ვინმე შეცვლის? პასუხი უკვე გაცემულია კითხვაზე ვინ იყო ლეგენდის პერსონაჟი, ერისტოვნა — ელენე თუ სხვა... პოლემიკაც აქვე უნდა დასრულდეს და იქნებ მოვასვენოთ საფლავში მათი ძვლები, ხოლო ზეცაში მათი სულები! გულწრფელად ვემადლიერები ქ-ნ სოფიოს, სინათლე რომ მოჰფინა ელენეს ბედ-იღბალს!.. საინტერესოა, რას იტევს ლამისყანის ვარდის ღვთისმშობლის ეკლესიასთან საფლავის ქვების ეპიტაფიები პოპოვების შესახებ?! ეს სათქმელიც დროზე უნდა ითქვას, თუკი ამის საფუძველი არის. რაც შეეხება "ვასილ პავლოიჩის" ხშირად ხსენებას, ეს არგუმენტად არ გამოდგება: ერთი ვასილი ხომ ელენე ერისთავის მამამთილია! საკითხავია, ვასილს (მამამთილს) და პავლეს, მის შვილს, ნუთუ ერთი გვარის ქალბატონები ეყოლებოდათ ცოლად? სადაა აქ ლოგიკა? უკრაინელი მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლ. როსსოხა 30 წელიწადი იკვლევდა უკრაინის ქართულ ემიგრაციას და არა მხოლოდ უკრაინის, ათამდე სხვა ქვეყნების არქივებშიც და ყირიმში სხვა ერისთავებზე არაფერი აღმოუჩენია!. "ვასილ პავლოიჩი" (პაპის მოსახელე) კი ელენეს შვილია და წერილებში მისი შვილები მოიხსენებიან და არა პავლე პოპოვი — ელენეს ქმარი... (აქ არც ის ჩანს, ცოცხალია თუ არა პავლე. ქ-ნ სოფიოს ადრე დაქვრივებულად მიაჩნია ელენე ერისთავი).

გენეალოგიის სიურპრიზებით კი სავსეა მსოფლიოს არქივები! მიგნება ძნელია, ათეულობით ტომიდან ერთი ცნობის ამოკითხვაც უამრავ დროს მოითხოვს...

ა) შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოში ვინმემ იცის კი, თუ რა შთამომავლობა დარჩათ კალუგაში ჯამბაკურ-ორბელიანებს?! და ვინც ეს არ იცის, არც ძილი გასტეხია, არც მადა დაუკარგავს... წარსულის, ჭეშმარიტების კვლევა-ძიება უმადური საქმეა? ისე, ზოგი ამისთვის ხელფასს იღებს, ზოგს კი უანგარო შრომისათვის ვარდების ნაცვლად ეკლები ხვდება, თანაც უხვად! მეც ეკლები მოვიმკე! მაგრამ თავს იმითაც ბედნიერად ვგრძნობ, რომ საქართველოს მთავარმა გენეალოგმა, აკადემიკოსმა იური ჩიქოვანმა გაიზიარა ჩემი მოკვლეული და გადაცემული მასალები როგორც ჯამბაკურ-ორბელიანთა კალუგის შტოზე, ისე სულხან-საბა ორბელიანის ძმის — დემეტრეს ოჯახის უკანასკნელ შთამომავლებზე (მე-11, მე-12, მე-13 თაობა) დონეცკისა და დნეპროპეტროვსკის (უკრაინა) მემკვიდრეებზე. 2006 წლის 6 ოქტომბერს ბატონმა იური ჩიქოვანმა (იმჟამად ორბელიანთა V ტომზე მუშაობდა) ავტოგრაფით მაჩუქა თავისი ნაშრომი "თავადი ჭავჭავაძეები" (გურამიშვილების ბედიც ჩანსო). 2004 წელს კასპის რაიონულმა გაზეთმა ჩემი სტატია გამოაქვეყნა უკრაინელ ორბელიანებზე, ხოლო ამ თემაზე 2012 წელს "იმედის გმირების" ტელესიუჟეტში არც კი მახსენეს, თვითონ მიიწერეს ეს აღმოჩენა და აქედანაც ეკლები დამრჩა!..

ბ) დღეს უკვე უკრაინული გვარი "გურჟი" მე-18 ს. 80-იან წლებში ყირიმელ თათართა ტყვეობიდან გამოქცეული ქართველებისაგან მომდინარეობს. პოლტავის ოლქში და პოლტავის ტერიტორიაზე დღესაც არსებობს დასახლებული პუნქტები "გურჟიი", "გურჟიივშჩინა" (ქართველებისაო — თ. გ.).

თამარ გაბოძე.

რუბრიკა - წელიწადის „მეხუთე დრო“, ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გაეცანით იქნები ნაბოდალებს.

მეხუთე დრო

ქრისტიანული არქიტექტურა კასპის მუნიციპალიტეტში

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა საინტერესო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ახალგაზრდები, პედაგოგები, განათლებისა და კულტურის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები. ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერია გაზეთი "ახალი განთიადი"...

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას აქტიურობისა და მხარდაჭერისათვის.

მუზეუმის ხელოვნების განყოფილების გამგემ, მხატვარმა იორამ იმედაშვილმა ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა თემაზე: "ქრისტიანული არქიტექტურა მუნიციპალიტეტში", სადაც ამომწურავად მიმოიხილა, თუ როგორ ეზიარა ქართველი ერი ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომლის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მეხუთე საუკუნიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში დაიწყო ეკლესიათა მშენებლობა. მომხსენებელმა თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთ საინტერესო მოვლენას, კერძოდ, ჯვრიანი სვეტების დამკვიდრების თემას, რომელიც მეხუთე საუკუნით თარიღდება და როგორც ირკვევა, მას ეცილება მეექვსე საუკუნით და იგი ერთ-ერთი პირველი გუმბათიანი ეკლესია გახლავთ ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაში, მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა აგრეთვე, გველდესის კანკელზე, რომელიც მეცხრე საუკუნით არის დათარიღებული.

ლექცია-საუბრისას იორამ იმედაშვილმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების პერიოდზეც, რომელიც დიდი სალოცავი დანიშნულება ჰქონდა და ხელოვნებათ მცოდნეობის დოქტორის ნიკო ჩუბინაშვილის აზრით, ეკლესიათა მაგივრობასაც ასრულებდა.

მომხსენებელმა ფართოდ მიმოიხილა ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ეკლესია-ნაგებობების ისტორია და არქიტექტურა. იგი შეეხო იდლეთში მდგარ ნათლისმცემლის სახელზე აგებულ ეკლესიას, რომელიც თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით, ასევე ბოლნისის ტაძარს, ბოლნისის ციხეს, ბოლნისის ციხეზე ასულ ეკლესიებს, ბოლნისის ციხეზე ასულ ეკლესიებს, ბოლნისის ციხეზე ასულ ეკლესიებ

სამი ოქრო, სამი ვერცხლი, ორიც ბრინჯაო...



ვინ მოთვლის, რამდენი სახელოვანი ფალავანი, სანაქებო სპორტსმენი ალიზარდა კასპის სპორტსკოლისა და საჭიდაო სკოლის კედლებში, აქ, სწორედ ამ დარბაზში იმართებოდა საზოგადოებრივი თავყრილობები, კულტმასობრივი შეხვედრები.

ამ სამიოდე წლის წინ, უფრო ზუსტად კი, 2017 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა სრულიად განახლებული და თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი მძლავრი სპორტული ბაზა. რამდენად კარგი და იმედისმომცემია სპორტკომპლექსის ახალი ინფრასტრუქტურა, რამდენად გამოადგა სპორტულ ცხოვრებას ახალი ბაზა? აქტიურად ვიყენებთ თუ არა, ასე სასურველ და საამაყო სიახლეს?

აი, სწორედ ამ თემებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ კასპის სპორტკომპლექსის დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი.

— ჩვენს ქალაქში სტუმრობისას ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ქათინაური არ დაიშურა: კასპის სპორტკომპლექსისნაირ დაწესებულებაზე, რომელსაც გააჩნია მძლავრი სპორტული ტექნიკური ბაზა, დედაქალაქშიც კი, არ იტყვიანო უარს.

— ძალიან სასიამოვნო მოსასმენია ასეთი შექება ისეთი ცნობილი ტელეკომენტატორისაგან როგორიც ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილია, მართალია, ჩვენი ახალი სპორტკომპლექსის ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი რომ თავისუფლად შეგვიძლია ჩავატაროთ არამარტო ქვეყნის ჩემპიონატები, არამედ საერთაშორისო ტურნირები. სხვათა შორის, ასეთი სპორტული ღონისძიებები შარშან და შარშანწინ უკვე ჩავატარეთ და რასაკვირველია, სამომავლოდაც ბევრი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი.

— ცხადია, უდიდესი შენაძენია იგი და როგორ აისახება რაიონის სპორტულ ცხოვრებაზე, ვფიქრობთ, უკვე უნდა იყოს შესამჩნევი პროგრესი, თქვენ როგორ აფასებთ?

— ამდენად, როგორც უკვე იცით, სპორტკომპლექსი ფუნქციონირებს 2017 წლის სექტემბრიდან და ახლა უკვე აქ არსებული სავარჯიშო პირობებისა და ჩვენი მწვრთნელების მონდომებული მუშაობის შედეგად ასეთ მოკლე პერიოდში სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ. მაგალითად, 2018-2019 წლებში მოვიპოვეთ სამი ოქროს, სამი ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი.

ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს კინგბოქსინგში — ლუკა ბარნოვმა, ათლეტიზმში — სიმონ ორბელაშვილმა, ჭიდაობა სამბოში — ბექა ბერძენიშვილმა, რომელმაც ასევე ბრწყინვალედ იასპარეზა შარშან ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე, საიდანაც ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა. სერიოზული წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე, ჩვენმა კარატისტებმაც, რომელთა მონაგარი 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალია. ჩვენმა სპორტსმენმა ლია ყაზარაშვილმა წარმატებით იასპარეზა ქალთა შორის მსოფლიო თასის გათამაშებაზე 64 უჯრიან შაშში და მან სწრაფ შაშში პირველი, ხოლო კლასიკურში მეორე ადგილი დაიკავა... ერთი სიტყვით, ჩამოთვლილი შედეგების გარდა საქართველოს ჩემპიონატზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოპოვებული გვაქვს 22 პირველი, 14 მეორე და 22 მესამე ადგილი.

— გასაგებია, რომ აქ მოდიან მოჭიდავეები, კალათბურთელები, მკლავჭიდელები და მოკრივეები, მოჭადრაკეები, მაგრამ საინტერესოა, სპორტდარბაზში მოსული ერთი რიგითი მოქალაქე ივარჯიშებს? ექნება კი, ამის ფუფუნება?

— ამ ეტაპზე ჩვენთან ფუნქციონირებს ჭიდაობის /ძიუდო, სამბო, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული, ქართული/ ხუთი სახეობის, აგრეთვე, კარატეს, კინგბოქსინგის, კრივის, მაგიდის ჩოგბურთის, შაშის, ჭადრაკის, ათლეტიზმის, კალათბურთისა და პანკრატიონის სპორტული სექციები, სადაც მეცადინეობს 550-ზე მეტი მოზარდი. ნორჩი სპორტსმენებისათვის აქ შექმნილია ყველა პირობა, იმისათვის, რომ მაღალ დონეზე, სრული კომფორტის დაცვით ჩატარდეს საწვრთნელი ვარჯიშები. ყველა დარბაზში არის გათბობა, სრული დატვირთვით მოქმედებს სავენტილაციო და განათების სისტემა, 24 საათიან რეჟიმში, შეუფერხებლად მუშაობს საქვაბე მეურნეობა, სრულ წესრიგშია გასახდელები და საშხაპეები, რომელთაც ძალუძთ სპორტსმენთა თუნდაც დიდი ნაკადის უპრობლემოდ მომსახურება. სხვათა შორის, ჩვენს მოქალაქეებს, აქ მაცხოვრებლებს და არამხოლოდ მათ, შეგვიძლია უფასოდ შევთავაზოთ ფიტნეს კლუბში არსებული სატრენაჟორო მოწყობილობებით სარგებლობა.

— ასეთ კეთილმოწყობილ, ტექნიკურად უზრუნველყოფილ სპორტულ დაწესებულებაში თავისუფლად შეიძლება გაიმართოს მასშტაბური, რეზონანსული სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეს ყველაფერი როგორ წაადგება თქვენს უწყებას, თუნდაც რაიონს?

— წელან, ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ კომპლექსში არსებულ ბაზაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს უპრობლემოდ ვუმასპინძლოთ საქართველოს ჩემპიონატებისა თუ სხვადასხვა დონის, მათ შორის, საერთაშორისო ტურნირებს სპორტის სახეობებში როგორიცაა ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, შაში, კარატე, კინგბოქსინგი, ათლეტიზმი... ასეთი ღონისძიებები გასულ წლებშიც ჩატარდა სამბოში, ძიუდოში, კარატეში და ქართულ ჭიდაობაში და ბუნებრივია, ასე იქნება მომავალშიც. ასეთი მასშტაბის ღონისძიებების აქ გამართვა რასაკვირველია, აუცილებლად დიდი გამოწვევაა ჩვენი სპორტსმენებისათვის, რა თქმა უნდა, უდიდეს გამოცდილებას შესძენს ჩვენ მოზარდებს, ახალგაზრდებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კომპლექსის სასტუმროს და კვების ბლოკის ამოქმედება, მთლიანობაში ასეთი კომფორტის ერთობლიობა, რა თქმა უნდა, საუკეთესო პირობებია იმისათვის, რომ აქ ჩატარდეს ქვეყნის ნაკრები გუნდების საწვრთნო შეკრებები. დიახ, ასეთი დონის შეკრებები, გარდა დამატებითი ფინანსური შემოსავლებისა, ჩვენს ახალგაზრდობას, წარმატებულ და პერსპექტიულ სპორტსმენებს საშუალება ექნებათ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთობლივ ვარჯიშზე მიიღონ დიდი სპორტული გამოცდილებაც.

— საერთო მიღწევებისა და წარმატებების ფონზე, არც თუ ისე იშვიათად, ზოგჯერ თავს შეგვახსენებს ხოლმე პრობლემები, მაგალითად, პერიფერიებში და რას დაუპირისპირებთ ამ გამოწვევებს?

— მართალია, გეთანხმებით, ამ თვალსაზრისით ნამდვილად ბევრი საზრუნავი გვაქვს, მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში ჩავატარეთ კიდეც სერიოზული სამუშაოები, მაგალითად, ღია საჭიდაო არენების მოსაწყობად, წარსულში ცნობილი და წარმატებული სპორტსმენების პატივსაცემად ბევრგან გავმართეთ ტრადიციული ტურნირები, მაგრამ პრობლემები სამწუხაროდ არსებობს, რაც რასაკვირველია, მოგვარებადია, მისი გადადება ნამდვილად საზიანო იქნება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს მწვრთნელთა ანაზღაურების საკითხი მათი კვალიფიკაციისა და შედეგების შესაბამისად, აგრეთვე უნდა მოწესრიგდეს სოფლად არსებული სავარჯიშო პირობები და ეტაპობრივად უნდა მოეწყოს ახალი ბაზები.

— გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა რუსუდან ხეჩუაშვილი.

ცეკვილომოქმედო კონცერტი

ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კასპის კულტურის ცენტრში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა.

კონცერტი სოფელ ხოვლეში მცხოვრებ ქეთი ბიჭიკაშვილს, კასპელ ვაჟა და ანდრია ხარხელების მკურნალობის კურსის დასახმარებლად ჩატარდა.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები და კულტურის დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჯგუფი „მზის სხივი".

შემოსული თანხა მთლიანად ქეთის, ვაჟას და ანდრიას ოჯახებს გადაეცემათ. ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით გაიმართა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

საქართველოს ჩემპიონატი — კასპში!

დიდი ხანია, რაც ჩვენი ქალაქის სასპორტო დარბაზებში აღარ ჩატარებულა საქართველოს მასშტაბის შეჯიბრება ჭიდაობის სახეებში, თუნდაც ჭაბუკური და ახალგაზრდული ასაკის სპორტსმენთა მონაწილეობით, უფროსების დონისაზე რომ არაფერი ითქვას. არა, შარშან და შარშანწინ კი მოეწყო რამდენიმე წარმომადგენლობითი ასპარეზობა და ტურნირი, საერთაშორისო თუ მემორიალური ხასიათისა, უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობითაც კი, მაგრამ საქართველოს მასშტაბით — არც ერთი!

და, აი, შუა თებერვალში კასპის მთავარ სასპორტო დარბაზში გაიმართა 2-დღიანი ჩემპიონატი ძიუდოში. მასში ძალები მოსინჯეს 2005-06 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ სპორტში და ოცნებობენ საქართველოს შემდგომი ასაკობრივი ნაკრებების შემადგენლობაში მოხვედრაზე.

აღნიშნული შეჯიბრების მაღალორგანიზებული ჩატარება უზრუნველყო საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი) საორგანიზაციო კომიტეტმა (შეჯიბრების კომისარი — ფედერაციის სამსაჯო კომისიის თავმჯდომარე მერაბ ლოსეურაშვილი), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და კასპის მუნიციპალიტეტის მერიასან ერთად.

ასპარეზობამ ყველა წონით კატეგორიაში, სპორტულ ასპარეზობათა და ჭაბუკური მეტოქეობის თვალსაზრისით, ფრიად დაძაბულ და ურთიერთპატივისმცემელ ვითარებაში ჩაიარა და გამოავლინა ღირსეული ჩემპიონები და პერსპექტიული პრიზიორები. ამით გამართლდა, უწინარესად, მთავარი მიზანი — დაკომპლექტდა საქართველოს ძიუდოს უმცროსი ასაკის ჭაბუკთა (ვაჟები) ნაკრები გუნდი, რომელიც წლევანდელი უფრო დიდი შეჯიბრებებისათვის მზადებას მალე დაიწყებს.

მასპინძელთა მხრიდან მოასპარეზე ჭაბუკების საერთო შედეგებზე რისი თქმა შეიძლება? — მათ ერთობ მოკრძალებულად იჭიდავეს და ამჯერად ტოლი ვერ დაუდეს მეტოქეებს. საკმარისია ითქვას, რომ კასპელთა მონაგარია მხოლოდ 2 საპრიზო ადგილი (ანუ, 2 მედალი). იმედია, შვიდივე კასპელ ჭაბუკ ძიუდოისტს წლის სადებიუტო შეჯიბრებაში შემატებული გამოცდილება სახვალიოდ წაადგება, ხოლო მათ მწვრთნელებს მეტი გარჯისათვის განაწყობს.

... შეჯიბრების კომისარმა, ბატონმა მერაბ ლოსეურაშვილმა, სპორტკომპლექსის ხელმძღვანელობასთან (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) საუბარში კმაყოფილებით განაცხადა, რომ კასპში გამართულმა ჩემპიონატმა ორივე მხარისათვის გაამართლა მიზანი და ამოცანები, მადლობა გადაუხადა მთლიან კოლექტივს და ფედერაციის თავკაცთა სახელით მზადყოფნა გამოხატა შემდგომი ურთიერთობების გასაგრძელებლად და გასაღრმავებლად.

“კასპის გრანდ შლემი!” — ასე შეაფასეს კასპში ჩატარებული ჩემპიონატი მისმა მონაწილე სტუმრებმა და მწვრთნელებმა, ძიუდოს კულისებში ჩახედულმა სპეციალისტებმა.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

უკეთესის მოლოდინში

წარმატებული, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კასპელი ფეხბურთელებისა და მათი გულშემატკივრებისათვის გასული 2019 წელი.

საფეხბურთო სარბიელზე გამარჯვებებისა და სპორტული შედეგების ერთგვარი დაგვირგვინება გახლდათ ახალი საფეხბურთო სტადიონის ექსპლუატაციაში შესვლა... თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილმა, არაჩვეულებრივი პროექტით ნაგებმა ახალმა საფეხბურთო სარბიელმა უკვე დაიკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი კასპის სპორტულ ცხოვრებაში. ამიერიდან ჩვენს ქალაქში /მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი/ ფუნქციონირებს შესანიშნავი საფეხბურთო სტადიონი, რომელიც სპორტის ამ უბრწყინვალეს სახეობაში სრულიად ახალი, განუმეორებელი წარმატებების მომტანი და მომსწრე იქნება.

— გასული წლის საფეხბურთო სეზონი გარკვეული წარმატებებით დაამთავრეს კასპის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლებში მოღვაწე მწვრთნელ-სპეციალისტებმა და აღსაზრდელებმა, — აცხადებს სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ტარიელ ბეგლარაშვილი, — გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ შარშან ჩვენმა სპორტსმენებმა შიდა ქართლისა და აფხაზეთის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობითა და მიღწეული შედეგებით მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერეს რაიონის ფეხბურთის მატიანეში და დარწმუნებული ვართ, რომ წლევანდელი, 2020 წლის საფეხბურთო სეზონი გაცილებით ნაყოფიერი და წარმატებული იქნება.

და მაინც, როგორ გამოიყურება გასული წლის საფეხბურთო სეზონი?

მწვრთნელ გიორგი ილურიძის “განთიადი 2003-”ის ნორჩმა ფეხბურთელებმა აფხაზეთის ტურნირზე ჩატარებული 22 თამაშიდან 18 მოგებით დაასრულეს, ორი შეხვედრა ფრედ ითამაშეს, ორიც წააგეს, 56 ქულით ბურთების საუკეთესო შეფარდებით, მეორე ადგილი დაიკავეს და მათ მეტოქეთა კარი 90-ჯერ დალაშქრეს, საკუთარ კარში კი, მხოლოდ 34 ბურთი გაუშვეს.

შავლეგ მაჭარაშვილის “განთიადი 2007-ის” აღსაზრდელებმა აფხაზეთის ტურნირში ჩატარებულ 24 შეხვედრიდან 54 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, მათ მეტოქის კარში 82 გოლი გაიტანეს, საკუთარ კარში 27 მიიღეს.

მალხაზ ჯალალის “განთიადი 2006- ის” ნორჩმა ფეხბურთელებმა ასევე, აფხაზეთის ტურნირზე ჩაატარეს 16 შეხვედრა, აქედან 11 ასპარეზობა გამარჯებულებმა აღნიშნეს, 35 დაგროვილი ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, სულ მათ ანგარიშზეა 47 გატანილი გოლი, ხოლო საკუთარ კარში მიიღეს 24.

ვეტერანი სპორტსმენის, ფეხბურთის დიდი მოამაგის ავთანდილ ჯალალის “განთიადი 2008-ის” ნორჩმა ფეხბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს შიდა ქართლის საფეხბურთო ტურნირზე, გამართეს 15 მატჩი და აქედან 13 შეხვედრა მოგებით დაასრულეს, დააგროვეს 40 ქულა და რა თქმა უნდა, არავის დაუთმეს პირველობა და დამსახურებულად დაეუფლნენ ჩემპიონის ტიტულსაც.

ზაზა ჯალალის “განთიადი 2004-ის” ფეხბურთელებმა შიდა ქართლის ტურნირი წაუგებლად დაასრულეს. გუნდმა გამართა 12 შეხვედრა, აქედან 11 მატჩი გამარჯვებით დასრულდა, ერთი შეხვედრა ფრედ, ბურთების საუკეთესო შეფარდებით — 45-16 და ამდენად, დაგროვილი 34 ქულით მეტოქისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მწვრთნელ ზურაბ ბეჟიტაშვილის საფეხბურთო გუნდ “სასირეთის” ფეხბურთელებმაც. მათ შიდა ქართლის ტურნირზე ჩატარებულ 18 შეხვედრაში 33 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ასე, რომ გასული 2019 წლის საფეხბურთო ტურნირებზე კასპის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებმა ჩატარებული 107 შეხვედრიდან 82 მატჩი მოიგეს, რაც მთელი თამაშების 76,5 პროცენტია, 6 მატჩი ფრედ არის დასრულებული, სულ კი, საფეხბურთო არენა ჩვენმა მოთამაშეებმა წაგებულებმა 19-ჯერ დატოვეს, საბოლოო ჯამში მთელი წლის განმავლობაში მეტოქის კარში გატანილია 367 გოლი, მოკლედ, 107 შეხვედრიდან 252 ქულა დააგროვეს, რაც უდავოდ საუკეთესო შედეგი გახლავთ. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი წარმატებების ფონზე გაჩნდა მოტივაცია, საერთო სულისკვეთება, გამარჯვების დიდი სურვილი, ფეხბურთის მესვეურები იმასაც ამბობენ, რომ საფეხბურთო სკოლების გუნდები მზადყოფნაში არიან, რომ სეზონის დადგომისთანავე ვარჯიშის ყოველი წუთი მაქსიმალურად გამოიყენონ.

ვინ დაიბადა 2019 წელს კასპში?

დასასრული.

მათე ხატიაშვილი, კასპი;

ნუცა ფეიქრიშვილი, აღაიანი;

მადონა ნორზალოვი, ფერმა;

ალექსანდრე გაბოძე, კასპი;

ბარბარე ყავრელიშვილი, კასპი;

სულეიმან ოღლი ჰუსეინ, ფერმა;

ოთო მანჯიკაშვილი, ახალქალაქი;

ნიკოლოზ მჭედლიშვილი, კავთისხევი;

დემეტრე მანოშვილი, კასპი;

დავით მანჯავიძე, ქვემო გომი;

ელენა ხუციშვილი, კასპი;

დანიელ მამულაშვილი, კასპი;

გიორგი გაბიდაური, კასპი;

გოჩა ქეთიშვილი, მრგვალი ჭალა;

იხაბალ ოღლი მედინა, ჩანგილარი;

ლანა ღვინიაშვილი, კავთისხევი;

ლიზი გიზოევი, ოკამი;

გიორგი ცერცვაძე, კასპი;

რამიზო ოღლი ზეინაბ, ფერმა;

მარიამ ბასიაშვილი, კავთისხევი;

მაია ნავროზაშვილი, მეტეხი;

ბარბარე ლაფაჩი, მეტეხი;

ალი ოღლი მუჰამედ, აღაიანი;

რუსუდან ქავთარაძე, კასპი;

ლუკა ჟივიძე, ახალქალაქი;

გეგა ღოღაძე, ზუგდიდი;

მარიამ ლომიძე, თელიანი.

გვმოიწერეთ „ვხვლი გვნთიადი“! გვხლით ჩვენი მყითხველი!

სიურპრიზს ამზადებენ

ქვემო გომის კულტურის სახლთან არსებულ ხელოვნების კლუბში ხშირად იმართება მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებები, ეწყობა ლიტერატურული შეხვედრები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, სოფლის ახალგაზრდები, აქტივის წარმომადგენლები.

ამ ორიოდე თვის წინ კი, კლუბში ჩატარდა ერთობლივი ღონისძიება, რომლის ინიციატორები იყვნენ კლუბის წევრები და ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ქართლის"/ ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე/ მოცეკვავეები. ეს იყო ნამდვილი ზეიმი. ღონისძიების ორგანიზატორებმა კლუბში მოწვეულ მაყურებელს მრავალფეროვანი, სახალისო პროგრამა შესთავაზეს, იყო ქორეოგრაფიული ცეკვები, მუსიკა, გასართობი პროგრამა...

ღონისძიება გაიხსნა კლასიკური მუსიკით, სადაც ხელოვნების კლუბის წევრმა შეასრულა ეტიუდი ფორტეპიანოზე. შემდეგ კლუბის წევრებმა წარმოადგინეს ორი სადღესასწაულო სპექტაკლი, რომლის პერსონაჟები, დეკორაციები და სცენის გაფორმება ბავშვებმა საკუთარი ხელით შექმნეს ხატვის გაკვეთილზე. დაუვიწყარი, ძალიან შთამბეჭდავი იყო კლუბის წევრების მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრები.

—კლასიკური მუსიკის ფონზე კლუბის ოთხი წევრი აკეთებდა ჩანახატს, — განმარტავს ხელოვნების კლუბის ხელმძღვანელი მანანა ხიზანაშვილი, — ამით იმის ჩვენება გვსურდა, რომ ბავშვებს დამოუკიდებლად შეუძლიათ ჩანახატების შექმნა, სამომავლოდ კიდევ ბევრ ნოვაციასა და სიახლეს შევთავაზებთ ჩვენს მაყურებელს, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ბავშვებს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნიათ. კლუბის წევრები ახლა კიდევ ერთ პროექტს ამზადებენ, რეპეტიციებიც დაიწყეს, მაგრამ ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ ამხელენ ზუსტად როდის გაიმართება კონცერტი, ერთი სიტყვით, ნამდვილად სიურპრიზს ამზადებენ.

კონკურსი ერთგული მკითხველისათვის

უფალო, ვითხოვ არა სასნაულებს და მირაჟებს, არამედ ძალას ყოველი დღისთვის. მასწავლე ჰაგარა ნაბიჯებით სვლის ხელოვნება. მაქცევ მე დაკვირვებულად და საზრიანად, რათა ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვნება დაეფუძნოს იმ აღმოჩენებს და გამოცდილებას, რაც მე მაღელვებს.

მასწავლე მე საკუთარი ცხოვრების დროის სწორად განკარგვა. მომანიჭე ზუსტი ალღო, რათა გავარჩიო მნიშვნელოვანი მეორეხარისხოვნისგან.

მე გთხოვ, მომცე ძალა თავშეკავებისა და ზომიერი საიმისოდ, რომ ცხოვრებაში არ ვიფარფატო და ვისრიალო, არამედ ჭკვიანურად დავგეგმო დღე, რათა დავინახო მნვერვალები და სიმორეები, და იშვიათად მაინც მომეცეს შესაძლებლობა, დავტკბე ხელოვნებით.

დამეხმარე მე, შევიგნო, რომ ოცნებები საშველი არ არის, არც ოცნება წარსულზე, არც მომავალზე. დამეხმარე, ვიყო აქ ახლა და მივიღო ეს წუთი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი.

მიხსენ მე გულუბრყვილო რწმენისგან, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შეუფერხებლად უნდა იყოს. მომეცი იმის ნათელი შეგნობა, რომ სრთულეები, მარცხი, დაცემა და წარუმატებლობები ცხოვრების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილებია, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ვიზრდებით და ვჭკვიანდებით.

შემახსენე მე, რომ გული ხშირად კამათობს გონებასთან.

მიმავლინე მე საჭირო მომენტში ვინმესთან, ვისაც ეყოფა ვაჟკაცობა, მითხრას სიმართლე, მაგრამ თქვას ის სიყვარულით!

ვიცი, რომ ჩემი ზოგიერთი პრობლემა თავისთავად მოგვარდება. ასე რომ, მასწავლე მე მოთმინება.

ვეძებთ ტექსტის ავტორს

გამარჯვებული დაჯილდოვდება

შენ იცი, რა ძალიან ვსაჭიროებთ ადამიანები მეგობრობას. ღირსი გამხადე ბედის ამ ულამაზესი და უნაზესი საჩუქრის.

მომანიჭე მე მდიდარი ფანტაზია, რათა საჭირო მომენტში, საჭირო დროს, საჭირო ადგილას, მდუმარებით თუ საუბრით, მივცე ვინმეს აუცილებელი სითბო. მაქცევ ადამიანად, რომელსაც შეუძლია მისცვდეს მათ, ვინც ყველაზე დაბლაა. დამიცავი მე ცხოვრებაში რამის გამოტოვების შიშისგან.

მომანიჭე არა ის, რაც საკუთარი თავისთვის მსურს, არამედ ის, რაც აუცილებლად მჭირდება.

მასწავლე ჰაგარა ნაბიჯებით სვლის ხელოვნება.

არჩევანი თქვენ!

არცთუ დიდი ხნის წინათ გაზეთმა "დეილი ტელეგრაფმა" ილინოისის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) მიერ ჩატარებული კვლევები გამოაქვეყნა, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ჯანმრთელობისთვის გაცილებით სასარგებლოა მარტო ძილი, ვიდრე სხვასთან ერთად წოლა.

პუბლიკაციის გამოქვეყნებისთანავე ერთ-ერთ ჟურნალში ჰიგიენის პროპაგანდის ლონდონის ინსტიტუტის დირექტორის კეიტ ველინიგის სტატია დაიბეჭდა, სადაც იგი, მართალია, ეჭვქვეშ არ აყენებს "მარტო ძილის" სასარგებლო შედეგებს, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან სერიოზულად ამტკიცებს, რომ სქესობრივი აქტი შაკიკის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მისი აზრით, "სქესობრივ აქტთან დაკავშირებული სიამოვნება მნიშვნელოვანწილად ამცირებს სტრესს და მის ზემოქმედებას გულზე, სისხლის მიმოქცევაზე, სისხლძარღვებსა და იმუნურ სისტემაზე. ეფექტი, ანალგინის ძლიერი დოზის მსგავსი ეიფორული მდგომარეობაა, რომელშიც წყვილი ვნებათაღელვის მომენტში იმყოფება, ინტიმურ სიახლოვეს თავის ტკივილის საწინააღმდეგო საუკეთესო წამლად აქცევს!"

"მოკლედ, თავის ტკივილის მიზეზებისა და ცოლქმრული მოვალეობებისთვის თავის არიდების ნაცვლად, უმჯობესია, საქმეს მიხედოთ, ამ შემთხვევაში თავი ნამდვილად აღარ აგტკივდებათ", — გვმოძღვრავს მეცნიერი.

ცხადია, იკითხავთ, მაინც რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მეცნიერული მსჯელობებიდან ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა? სამუდამოდ გავემიჯნოთ მეუღლეებს და ცალ-ცალკე ოთახებში ვიძინოთ, თუ პირიქით, როგორც კი შევამჩნევთ, რომ თავის ტკივილი გვეწყება...

ამასთან დაკავშირებით ინგლისელი მეცნიერები არაფერს ამბობენ. მათ მხოლოდ მაგალითები მოჰყავთ. მაგალითად, ილინოისის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევაში 46 წყვილი იღებდა მონაწილეობას, რომელთა ასაკიც 25-დან 67 წლამდე მერყეობდა. მათ საწოლებთან ელექტრონული აპარატურა დაამონტაჟეს, რომელიც ძილის დროს ადამიანის ყველა მოძრაობას აფიქსირებდა. როგორც გამოირკვა, უმეტეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მეუღლის ნებისმიერი მოძრაობა, სულ რაღაც ოცდაათი წამის შემდეგ მეორე მეუღლის მოძრაობას იწვევს. მსგავსი რამ ღამეში დაახლოებით 30-60-ჯერ მეორდება.

გარკვეული დროის შემდეგ მეუღლეები ერთმანეთს დააშორეს და დასაძინებლად ცალ-ცალკე ოთახები გამოუყვეს. აღმოჩნდა, რომ ასეთ ვითარებაში მათ უფრო სწრაფად და ღრმა ძილით დაიძინეს. დილით კი თავს გაცილებით კარგად გრძნობდნენ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ერთად ძილის დროს პრობლემები ჯერ კიდევ დაწოლამდე იჩენს თავს: ღია უნდა იყოს თუ არა ფანჯარა საძინებელ ოთახში, ძილის წინ შეიძლება თუ არა კითხვა, თუ მაშინვე უნდა ჩაქრეს სინათლე, რომელი საათისათვის უნდა დარეკოს მაღვიძარამ — შვიდზე თუ რვის თხუთმეტ წუთზე და ასე შემდეგ. თურმე მეუღლეები დაახლოებით ათჯერ "ართმევენ" ერთმანეთს საბანს. დაახლოებით ამდენჯერვე იღებენ მეორე ნახევრის მუჯლუგუნებს ის ქმრები, რომლებიც ვერაფრით გადაეჩვივნენ ხვრინვას და, საერთოდ, მამაკაცებს ძილში ნამდვილად არ სწყალობთ ბედი — მათ 2-3 ჯერ უფრო მოუსვენრად სძინავთ, ვიდრე ქალებს.

თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, მეცნიერები მაინც აღიარებენ, რომ, რაც უფრო დიდი ხნის მეუღლეები არიან წყვილები, მით უფრო უკეთ ეჩვევიან ერთიმეორის გვერდით ძილს; ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ისეთ წვრილმანებს, როგორებიცაა: შუა ძილში შემთხვევით ფერდში დარტყმული მუშტი, კივილი კოშმარული სიზმრის დროს, საშინელი ხვრინვა და ასე შემდეგ. არჩევანი თქვენ!

გილოცავთ!

კასპის მუნიციპალიტეტის ყველა პედაგოგს, საბავშვო ბაგა-ბაღების ყველა ქალბატონს ვულოცავ დედის დღესა და 8 მარტს!

ძვირფასო ქალბატონებო! გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს მომავალი თაობის ე.ი. ჩვენი სამშობლოს მომავლის შენებაში.

გიული სოზიაშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფერხულის„ წევრები და მშობლები გულწრფელი სიყვარულით დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს უსაყვარლეს, უნიჭიერეს და ულამაზეს ქორეოგრაფს მარიკა ბიჭიკაშვილს.

ვუსურვებთ სიხარულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ულევ წარმატებას. მრავალი დაბადების დღე მიგეთვალოთ სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე.

დიდი მადლობა გაწეული შრომისათვის, თქვენი მზრუნველობისა და სითბოსათვის. გვიყვარხართ და გვეიმედებით.

მშობლები.

ამირან ქასოევს ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ულევ ბედნიერებას.

ნანი ღვინიაშვილი, დალი ხაჩიძე.

კასპის №5 საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა ქალბატონს გულითადად ვულოცავ დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს... მეგობრებო და თანამებრძოლებო, ჩემო ძვირფასო ადამიანებო, მუდამ ჯანმრთელები და ბედნიერები, გახარებულები, პოზიტიურები ყოფილიყავით. უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით თქვენი გამგე ლალი მილაძე.

ფოტო მატიანე

,,ახალი გვნთავლი,, იძენს ცვინტერესოდ ცოცხალ ფოტო-მასალებს ჩვიონის ცხოვრების ფოტო-მასალის შეცვალოლ. თხოვნით მივმართავთ ადგილობრივ - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ გვნვლილი ცხოვრების ამცხავილი, ინტერიერის შემნახავი, წინაპრების ცხოვრების ამცხავილი ცვინტერესო ლა ცხალოთ ფოტოები!

ერთად გვიხარეთ ჩოგორ ცხოვრობენ, ჩოგორ ვცხოვრობით ...

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვჩანიშნოლ ყველა ცაჯარი თუ ყერძი ცოლოვს ვაძლევთ შეცაძლებლობას გაზეთის ცაშუალებით ფარით მყითხველს გავაცნოს ცაყოთარი ცოლოის ინტერესო ლა ვწმეთ.

2019-2020 ცაცწავლო წლის განმავლობაში შეცაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური ცოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით ცაჯარი გახალოთ თქვენი ჩრობლემები, ლაცხოთ ცოლის ცაცურველი ცამომავლო გეგმები, ყველს გავცნოთ ოვაწლომოცილი, ვხალგაზრდა თუ ვხალობელ ჩელაგოგები, გვაამბეთ ცალ ლა როგორ ცწავლობთ, რითი ამყობთ, რა გცურთ...

გავაცნით თანავრაიონელებს თქვენი ყურცლამთავრებული მეცნიერები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მაცერს.

ცხოვრების ცაყოეთილი ლა უმუშევენიერს წლების ვაცყარებთ ცოლოაში ლა გვინდა, რომ იქ გაცყარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმაცებული, ლაყვიწყარი.

გამოგვიხმაურეთ!

ხსოვნა

ლევან ბუთხუზი

ტკივილიანი, გაუსაძლისი ერთი წელი გავიდა შენი წასვლიდან.

ჩემო ლევან, ჩვენთან აღარ ხარ შვილო, რომ იცოდე როგორ გვაკლიხარ ყველას, უშენობა გაუსაძლისია შენი მშობლებისთვის, ცოლშვილისთვის, დედმამიშვილებისთვის, ძმისშვილებისა და ყველა ახლობელისათვის... ჩემო ლევან, ყველას ძალიან ენატრები, დამწუხრებულები არიან შენი დეიდები და მამიდები, ახლობლები, ენატრები პატარა ლილეს, რომელმაც ჯერ ვერც კი გაიგო, თუ რატომ არ მოდის მამა. შენმა საყვარელმა ციალა მამიდამ ვეღარ გაუძლო ამ ტკივილს და წლამდე წამოვიდა შენთან, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

ლევან, შვილო, ჩემო საფიცარო ძმისშვილო, უდროოდ დაგკარგეთ, 33 წლის ასაკში შეუერთდი მარადისობას, ღმერთს შევთხოვ, მშვიდად განისვენოს შენმა სულმა.

მამიდა ევა.



დათო ნიპარიშვილი

პირველსკოლელ დათო ნიპარიშვილს წელს, 9 მარტს 50 წელი შეუსრულდებოდა...

თუმცა, იგი სკოლიდან, ბავშვობისდროინდელი ახსოვთ...

უწყინარი, თავაზიანი და ნიჭიერებით ცნობილი ბიჭი მთელ სკოლას ეიმედებოდა, მისი მიღწევებით ხარობდნენ მშობლები და ახლობლები, შესანიშნავად ხატავდა და ძერწავდა, თავდავიწყებით უყვარდა სპორტი...

ჩემს სადამრიგებლო კლასში სწავლობდა და ამიტომაც ზედმიწევნით ვიცოდი დათოს ოჯახური პირობები, თანაც განსაკუთრებულად ვგულშემატკივრობდი, იმიტომ, რომ ნამდვილად მჯეროდა, დარწმუნებული ვიყავი, ყველას იმედს გაამართლებდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ მან ერთხანს კასპის საკონსერვო ქარხანაშიც იმუშავა, მერე კი, სხვა მისი თანატოლის მსგავსად ჯარში წავიდა.

1989 წლის 4 ივნისს სამხედრო ნაწილიდან, სადაც დათო ნიპარიშვილი მსახურობდა მისი დაღუპვის ცნობა მოვიდა კასპში. ეს იყო გამაოგნებელი და თავზარდამცემი ამბავი, მთელი რაიონი, ქალაქი, პირველი სკოლა გლოვობდა ჯარისკაცის ტრაგიკულ ბედს...

იმ დღიდან სამ ათეულ წელზე მეტი ხანი გავიდა და აქაურების, მისი ნაცნობ-მეგობრებისა და ახლობლების, პედაგოგების მეხსიერებაში დათო ნიპარიშვილი დარჩა მარად ახალგაზრდა, სამშობლოს შეწირული ჯარისკაცი.

დათოს ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში მრავალი ჩინებული ახალგაზრდა გახდა ქვეყნის გლოვის საგანი - ისინი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ... დათო კი საბჭოთა ქვეყნის ჯარში დავკარგეთ...

ნანი ღვინიაშვილი.

თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვურდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს არ სურთ ლაპარაკი! რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საგანგებო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე...

მაშ ასე, მოგრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76